



სს „საქართველოს სახალხო ბანკი“

„საქართველოს უნივერსიტეტი“

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ.თბილისი

18 სექტემბერი, 2007 წ

ჩვენ, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი მისი რექტორის მანან სანაძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმი ითვალისწინებს, ბანკის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მხარდაჭერას, მაღალ რეიტინგიანი სტუდენტებისათვის სტიპენდიების დასანიშნად თანხების მოძიებას, სტუდენტებისათვის პროფესიული სტაჟირების გავლის და ბანკის სტრუქტურებში დასაქმების ხელშეწყობას, ასევე დახმარებას საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტების და ქონების დაზღვევის მიმართულებით.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის ფარგლებში დახმარებას გაუწევენ უნივერსიტეტს, ხელს შეუწყობენ სსმუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.
3. მხარეები, ასევე ერთობლივად დააფინანსებენ ან მოიძიებენ დაფინანსების წყაროებს უნივერსიტეტის სამუშაო შეხვედრების, სტუდენტური პროგრამებისა და საერთაშორისო სემინარების ორგანიზებისათვის.

4. თანამშრომლობა განხორციელდება 5 წლიანი სამუშაო პროგრამის საფუძველზე, რომელიც დაყოფილი იქნება 1 (ერთი) წლიან ეტაპებად. ყოველი წლის ბოლოს მხარეების მიერ მოხდება თანამშრომლობის გადახედვა და მომდევნო ერთი წლის ერთობლივი გეგმების განსაზღვრა.
5. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე ან მხარეთა მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“  
ქ.თბილისი, ჭავჭავაძის №74

საქართველოს უნივერსიტეტი  
ქ.თბილისი კოსტავას № 77,  
მე-5 კორპუსი

გიორგი გოგუაძე

გენერალური დირექტორი



მანანა სანაძე

2.15.2018

უნივერსიტეტის რექტორი

